ცვლილებები ძალაშია 01/09/2017–დან
ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ავტომატური პროლონგაციის (ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატური გაგრძელების) პირობით არსებული ვადიანი ანაბრის შემთხვევაში, ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად არ განახლდება იმ შემთხვევაში:

- თუ ანაბრის ხელშეკრულების განახლების მომენტისთვის ბანკში არ იქნება შესაბამისი ტიპის (შესაბამისი თანხის, შესაბამისი ვადის ან შესაბამისი ტიპის კლიენტისთვის) ანაბარი;
- თუ მეანაბრე წინამდებარე ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე წერილობით მიმართავს ბანკს ანაბრის ავტომატური გაგრძელების გაუქმების მოთხოვნით;
- თუ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკს უფლება არ აქვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების.“

2. საბანკო მომსახურების პირობებს დაემატა შემდეგი შინაარსის 15² მუხლი:

„მუხლი 15². იურიდიული პირის შემნახველი ანაბარი “FlexSave”

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„შემნახველი ანაბრის “FlexSave” ხელშეკრულება“.**
2. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.
3. ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს და მეანაბრეს შეუძლია მრავალჯერადად გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4. ანაბრის გასახსნელად სავალდებულო არ არის პირველადი შენატანის გაკეთება. ანაბარი შესაძლებელია გაიხსნას ნულოვანი ნაშთით. ანაბარზე პირველადი შენატანის შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. შესაბამისად ანაბარზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის განთავსების მომდევნო დღიდან.
5. ანაბარზე ნებადართული ოპერაციების შესრულების რაოდენობა და პერიოდულობა შეუზღუდავია.
6. ანაბარზე შესაძლებელია მხოლოდ თანხის გადარიცხვა/ჩარიცხვა ამავე მეანაბრის პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე/ანგარიშიდან.
7. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტა და ანაბრის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეანაბრე ხურავს მიმდინარე ანგარიშს ანაბრის შესაბამის ვალუტაში.
8. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბარს, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ანაბრის დარღვევის თარიღამდე პერიოდზე, დაერიცხება ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ამ ანაბარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთი.
9. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ანაბრის ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხა ჩაირიცხება მეანაბრის მიმდინარე ანგარიშზე.
10. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.“